თბილისის “დინამოს” გამარჯვება

გუშინ მოსკოვში “დინამოს” ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა საინტერესო შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში მოსკოვის “ტორპედოსა” და თბილისის “დინამოს” გუნდებს შორის.

პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა – 0:0.

მეორე ტაიმი თბილისელთა უპირატესობით ჩატარდა. ბურთი არ მოსცილებია მოსკოველთა საჯარიმო მოედანს. თამაშის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე თბილისელმა ჯეჯელავამ კარგად გამოიყენა პაიჭაძისაგან ზუსტად მიწოდებული ბურთი და ახლო მანძილიდან გაიტანა იგი მოსკოველთა კარში. ამ ბურთმა გადაწყვიტა შეხვედრის ბედი.

მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით – 1:0.

აღნიშნულმა გამარჯვებამ საგრძნობლად გაზარდა თბილისის “დინამოს” შანსები მესამე ადგილისათვის.

უკანასკნელ შეხვედრას თბილისის “დინამო” ჩაატარებს მოსკოვში 23 სექტემბერს, მოსკოვის “კრილია სოვეტოვის” გუნდთან.

“კომუნისტი”, 19 სექტემბერი 1945 წ.